ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/34587-16 12 04 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, გ.წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი №8/50)/გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვ.№8/49)/ილია ჭავჭავაძის გამზირი №49-ში (ნაკვ.№08/088), შპს „არსი-ვაკე“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ კოდი. 01.14.07.008.098) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური (სავაჭრო, საცხოვრებელი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №619239 01.04.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, გ.წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი №8/50)/გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვ.№8/49)/ილია ჭავჭავაძის გამზირი №49-ში (ნაკვ.№08/088), შპს „არსი-ვაკე“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ კოდი. 01.14.07.008.098) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადის მოპირკეთების სამუშაოები არ არის დასრულებული. დაუსრულებელია აივნების მოაჯირების მოწყობა. შეულესავია ლოჯიების კედლები. ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები არ არის დასრულებული, ნაწილობრივ მოსაპირკეთებელია ბაქანი და მოსაწყობია ორი გარე კიბე. სავენტილაციო შახტების მშენებლობა ნაწილობრივ დაუსრულებელია. -3.40 ნიშნულზე „ე-ზ” მონაკვეთში არ არის მოწყობილი შიდა კიბე. ±0.00 ნიშნულზე „2-4” მონაკვეთში არ არის მოწყობილი სამი შიდა კიბე. აივნების ძირები შეღებილია შავად. -8.60 ნიშნულზე, “2-4” მონაკვეთში მონოლითური კედელი გადაწეულია “ზ-ზ” ღერძიდან დაახლოებით 0.70 მ-ით. ტერიტორიაზე „7-7” ღერძთან შეცვლილია ტროტუარის ფორმა. ქვაბულის ნაწილი არ არის შევსებული და ტერიტორია მოსაპირკეთებულია. -3.40 ნიშნულზე „ზ-დ” მონაკვეთში ფრამუგებს შორის კედელი შეუვსებელია. „გ-ა” მონაკვეთში ვიტრაჟის ღიობი და ფრამუგა შეუვსებელია. +0.00 ნიშნულზე ტერიტორიაზე „გ-დ” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ორი წყლის გადამყვანი არხი. „4-3” მონაკვეთში ვიტრაჟი შეუვსებელია. +23.70 ნიშნულზე „დ-გ” მონაკვეთში მოწყობილია წყლის გადამყვანი მილი. „4-5” მონაკვეთში არ არის მოწყობილი შიდა კიბე. +26.38 ნიშნულზე სავენტილაციო შახტებზე დამატებულია ლითონის მილები. +60.00 ნიშნულზე „5-6” მონაკვეთში არ არის მოწყობილი შიდა კიბე. +63.59 ნიშნულზე „6-5” მონაკვეთში კარის ღიობი შეუვსებელია.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო

სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ჳ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „არსი-ვაკე“-ს, დავით კორძაიას ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, გ.წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვეთი №8/50)/გ. წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, (ნაკვ.№8/49)/ილია ჭავჭავაძის გამზირი №49-ში (ნაკვ.№08/088), შპს „არსი-ვაკე“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ კოდი. 01.14.07.008.098) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური (სავაჭრო, საცხოვრებელი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/34588-16 01.04.2013წ.
№07/34752-16 02.04.2013წ
№07/36614-16 04.04.2013წ განცხადებები.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი

